

<b>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა</b>	
მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა	
<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</b>	
	180
<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>	
	სოციალური მეცნიერებების დოქტორი მასობრივ კომუნიკაციაში
<b>სწავლების ენა</b>	
	ქართული
<b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b>	
	<p>მასობრივი კომუნიკაციის პროფესიონალი სპეციალისტის მომზადება. გლობალიზაციის ეპოქაში უსაზღვროდ იზრდება ინფორმირებულობის მნიშვნელობა საზოგადოებრივი ყოფის ნებისმიერ სფეროში. ინფორმაციის წარმოების, გავრცელების საშუალება მასობრივი კომუნიკაცია, მათ შორის ჟურნალისტიკაა, რადგან კომუნიკაციის პროცესს უშუალო მიმართება აქვს სოციალურ ქცევასთან და არსებითად ზემოქმედებს სოციუმის ფუნქციონირებაზე. ამის გამო მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური წესრიგის შექმნასა და ცვლაში.</p> <p>პროგრამის მიზანია დოქტორანტისათვის მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის თანამედროვე თეორიების, მიმდინარეობების, კონცეფციების, ტენდენციებისა და მეთოდოლოგიების სწავლება; ინოვაციური ცოდნის დაგროვების სოციოტექნიკების, მეცნიერული კვლევების და სწავლების მეთოდების გაცნობიერება-გათავისება და პროფესიულ, პრაქტიკულ, პედაგოგიურ და მეცნიერულ-კვლევით მოღვაწეობაში შემოქმედებითად გამოყენება.</p>
<b>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</b>	
	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება:</b> ანალიზებს კომუნიკოლოგიის, მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის სფეროს უახლეს მიღწევებს და აქვს ღრმა ცოდნა, რაც იძლევა თანამედროვე კომუნიკოლოგიაში არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის მიმართულებით რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე;</p> <p>ახდენს არსებული ცოდნის ხელახალ გააზრებას და ამოიცნობს ნაწილობრივი გადაფასების საჭიროებას, იცნობიერებს მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის სფეროს ცოდნის განახლებულ ფარგლებში.</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:</b> კომუნიკოლოგიის სფეროს ცოდნას იყენებს მასობრივი კომუნიკაციის /ჟურნალისტიკის პრობლემების ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობისათვის; შეიმუშავებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ</p>



მეთოდებსა და მიდგომებს, რომლებიც ორიენტირებულია მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის პრობლემატიკის ახალი ცოდნის შექმნაზე და აისახება კომუნიკოლოგიის მიმართულელების საერთაშორისო პუბლიკაციებში.

**დასკვნის უნარი:** ანალიზებს კრიტიკულად მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის ახალ, რთულ, წინააღმდეგობრივ იდეებსა და მიდგომებს, ახდენს სინთეზს და აფასებს შედეგებს, რის საფუძველზედაც ხდება მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის პრობლემური სფეროს კვლევის/შესწავლის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის პრობლემის გადაჭრისათვის განიხილავს და დამოუკიდებლად იღებს სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას.

**კომუნიკაციის უნარი:** აჩვენებს მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის სფეროს ახალი ცოდნის ურთიერთკავშირს არსებულ ცოდნასთან, შეუძლია დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩინა; პატივს სცემს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას და კარგად შეუძლია მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.

**სწავლების უნარი:** პროგნოზირებს მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის სფეროს, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარებას; აჯამებს მზაობას სწავლისა და მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის სფეროში საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროსექტში ჩართულობისათვის.

**ღირებულებები:** აღიარებს მასობრივი კომუნიკაციის /ჟურნალისტიკის, როგორც თანამედროვე საზოგადოების უმთავრესი კაპიტალით - ინფორმაციით უზრუნველყოფის ცოდნის დარგის, ღირებულებებს; იკვლევს მათი დამკვიდრების გზებს და შეიმუშავებს მათ დასამკვიდრებლად ინოვაციურ მეთოდებს.

**შეფასების წესი**

**შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.**

**სასწავლო კომპონენტის შეფასება:**

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:



	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>(FX)</b> - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</li> <li>• <b>(F)</b> - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</li> </ul> <p>სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის/კომპონენტების შეფასება:</p> <p>ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;</p> <p>ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;</p> <p>გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;</p> <p>დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;</p> <p>ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;</p> <p>ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;</p> <p>ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.</p>
<p><b>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)</b></p>	
<p>ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge</p>	



**დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა**

ეკონომიკა

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)**

**180**

**მისანიჭებელი კვალფიკაცია**

ეკონომიკის დოქტორი

**სწავლების ენა**

ქართული

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ეკონომიკური თეორიის თანამედროვე მიღწევების შესწავლა და შემდგომი განვითარება; ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით აღჭურვილი, ეკონომიკის დოქტორების მომზადება. ინოვაციური აზროვნების და სწავლების კრეატიული უნარის მქონე მკვლევარების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ ინოვაციური კვლევის ჩატარება, ორიგინალური იდეების შემუშავება და პრაქტიკული საქმიანობა.

**საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი**

**განმარტავს** ეკონომიკის თეორიის შინაარსს, განვითარების კანონზომიერებებს, პრობლემებს და მათ გამომწვევ მიზეზებს, მოკლევადიან (კეინზურ) და გრძელვადიან (კონსერვატიულ) ეფექტებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარებაში;

**განსაზღვრავს** ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის მნიშვნელობას ეკონომიკურ ურთიერთობებში; სწავლების თანამედროვე მეთოდების თეორიულ საფუძვლებს, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების შესაბამისად.

**აანალიზებს** გლობალიზაციის პირობებში განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების განვითარების გამოცდილებას და ინსტიტუციურ მოწყობას;

**იყენებს** კვლევის რელევანტურ მეთოდოლოგიას სამეცნიერო ნაშრომებისა და კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად დაგეგმვის, ზედამხედველობის და შესრულებისას;

**აკეთებს** ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების, განვითარების თავისებურებების, ტენდენციებისა და პრიორიტეტების შესახებ, არსებული ცოდნის ხელახალ გააზრებას, სიღრმისეულ ანალიზს, შეფასებასა და დასკვნას;

**იღებს** გადაწყვეტილებას მოიძიოს და ჩამოაყალიბოს არსებული ცოდნის საფუძველზე ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ახალი მიდგომები.



ეკონომიკური მეცნიერების კვლევის ყველა ძირითადი მეთოდის პროფესიულ დონეზე ფლობის საფუძველზე, აყალიბებს ეკონომიკური პრობლემის გადაჭრის გზებს მიკრო-მაკროეკონომიკური საკითხების რეგულირებისათვის; **წარმოაჩენს** ახალ ცოდნას არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში, ერთგვება სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში, სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის უახლეს მიღწევების გამოყენებით.

**იზიარებს** ეკონომიკური საქმიანობის სფეროსთვის დამახასიათებელი ღირებულებების დამკვიდრების ინოვაციურ გზებსა და მეთოდებს;

**ავლენს** თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებას, მათ ეროვნულ რეალობაში დამკვიდრების სურვილსა და მზაობას.

**შეფასების წესი**

**შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.**

**სასწავლო კომპონენტის შეფასება:**

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც



წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)
ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge

<b>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა</b>	
<b>არქეოლოგია</b>	
	<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</b>
	180
	<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>
	არქეოლოგიის დოქტორი
	<b>სწავლების ენა</b>
	ქართული
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b>
	პროგრამის მიზანია პროფესიონალი მკვლევარის მომზადება ძველ ცივილიზაციათა შემსწავლელ არქეოლოგიურ პროექტებში მონაწილეობისა და გადაწყვეტისათვის სფეროში არსებული იმ ურთულესი პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია არქეოლოგიური კულტურების ეთნიკურ და სოციალურ ასპექტებსა და უძრავ-მოდრავი ძეგლების ტექნიკური ატრიბუციის თუ კონსერვაციის საკითხებთან.
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</b>
	<p><b>გარდაქმნის</b> კულტურული მემკვიდრეობის მოპოვების და ინტერდისციპლინური კვლევის სფეროში დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ფუნდამენტურ და სისტემურ ცოდნას, რომლის გაფართოება-გაღრმავება ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე); სწავლების თანამედროვე მეთოდის თეორიულ საფუძვლებს - სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებად.</p> <p><b>განჭვრეტს</b> ძველი კულტურების და სოციალური სისტემების შემსწავლელი დარგების ფარგლებში აკუმულირებული ცოდნის გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებულ ფარგლებს.</p> <p><b>გეგმავს</b> არქეოლოგიური კვლევის და სწავლების სტრატეგიას.</p> <p><b>პროგნოზირებს</b></p>



ინოვაციური ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით შედეგებს; არქეოლოგიური ძეგლების ისტორიულ-ტიპოლოგიური ატრიბუციისათვის ტექნიკა-ტექნოლოგიური პარამეტრების ფაქტორს; კვლევის ობიექტის თუ დარგის სადისკუსიო პრობლემების გადაჭრის გზებს; სამეცნიერო ნაშრომის შედეგების და წინააღმდეგობრივი პროფესიული თვალსაზრისებისა და მიდგომების კრიტიკული შეფასების საფუძველზე შემუშავებული ადეკვატური მეთოდოლოგიის გამოყენების ეფექტს; ახალი სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ცოდნის არსებულ ცოდნასთან კავშირის პერსპექტივებს.

**შეიმუშავებს**  
პროფესიულ საქმიანობაში ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მიდგომებს.

**შეფასების წესი**

**შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.**

**სასწავლო კომპონენტის შეფასება:**

**დადებითი შეფასებებია:**

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

**უარყოფითი შეფასებებია:**

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:**

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;





	<p>ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;</p> <p>ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;</p> <p>ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.</p>
<p>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)</p>	
<p>ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge</p>	



<b>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა</b>	
თეოლოგია	
	<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</b>
	180
	<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>
	თეოლოგიის დოქტორი
	<b>სწავლების ენა</b>
	ქართული
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b>
	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სამეცნიერო კვლევების უნარების მქონე დოქტორის მომზადება თეოლოგიის დარგში. თეოლოგიის პროგრამა სამეცნიერო კვლევების მიმართულებით მოემსახურება სტუდენტთა მომზადებას აკადემიური უნარების შესამუშავებლად. თეოლოგიის პროგრამა იძლევა სპეციალურ აკადემიურ ცოდნას რელიგიაზე, რელიგიურ მოძღვრებაზე, ისტორიაზე და ტრადიციებზე. პროგრამის მიზანია მეცნიერულ დონეზე დოქტორის მომზადება თეოლოგიური მეცნიერების კვლევებში; მსოფლიო კულტურისა და ღვთისმეტყველების დამფუძნებელთა შემოქმედების მეცნიერული ცოდნა; თეოლოგიური სკოლების და წმინდა მამათა მსოფლმხედველობის მეცნიერული გააზრება. პროგრამით გათვალისწინებულია ზემოაღნიშნულის მიმართულებით მაღალპროფესიული აკადემიური კადრის მომზადება თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტებით, რომელთაც შეეძლება დამოუკიდებელი, ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევა და დარგის სწავლება სხვადასხვა დონის ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.</p>
	<b>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</b>
	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება:</b>  დოქტორი შეძლებს საკვლევი სამეცნიერო პრობლემის გამოკვეთას და დასაბუთებას.  მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლის განსაზღვრას.  კვლევის ობიექტთან დაკავშირებული მულტიდისციპლინური ინფორმაციის ანალიზს და სინთეზს.  თეოლოგიის კვლევის სფეროში მიმდინარე პროცესების ფუნდამენტურ და სისტემურ ცოდნას, რომლის გაფართოება-გაღრმავება ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე)  აკუმულირებული ცოდნის კრიტიკული გააზრებას და ამ გზით მისი განახლებული ინფორმაციის გაცნობიერებას.  თეორიული და ემპირიული მასალის ურთიერთშეჯერებას და მის საფუძველზე რელიგიაში მიმდინარე პროცესის ანალიზს.</p>



მეცნიერული, პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნას და გათავისებას. დოქტორი ღრმად ერკვევა რელიგიათა მოძღვრებების მსოფლმხედველობაში (ღვთისმეტყველებაში), მის წარმოშობა-განვითარების ისტორიულ პროცესებში, ძირითად სამეცნიერო კონცეფციებში.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

თეოლოგიის კვლევის სფეროში ახალი ანალიტიკური მეთოდების და მიდგომების შემუშავება და მეცნიერულ საქმიანობაში გამოყენება;

ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევითი შედეგების მოპოვება და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვა.

საკვლევი პრობლემის ინტერპრეტირება ფართო კულტურულ კონტექსტში.

თეოლოგიური ტექსტების სტრუქტურისა და ტიპოლოგიის ღრმა ცოდნის პროფესიულ საქმიანობაში მიზნობრივი გამოყენება.

სამეცნიერო ნაშრომის შედეგების და წინააღმდეგობრივი პროფესიული თვალსაზრისებისა და მიდგომების კრიტიკული შეფასების საფუძველზე ახალი თუ ადეკვატური მეთოდოლოგიის შემუშავება.

სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის ხერხებით ოპერირება.

**დასკვნის უნარი:**

დამოუკიდებელი სამეცნიერო იდეის ჩამოყალიბების უნარი.

თეოლოგიური კვლევის სტრატეგიის განსაზღვრა

თეოლოგიის კვლევის ობიექტის თუ დარგის სადისკუსიო პრობლემების გადაჭრის გზების დადგენა.

თეოლოგიის დარგში საკვლევი პრობლემის გადაჭრის გზაზე ადეკვატურ, ინოვაციურ მეთოდოლოგიაზე დამყარებული დასკვნითი სამეცნიერო დებულების შემუშავება.

**კომუნიკაციის უნარი:**

პოლიეთნიკურ და მულტიკონფესიურ საზოგადოებაში განსხვავებული კულტურისა და რელიგიის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია.

დოქტორის ხარისხის მქონეს უნარი შესწევს მოახდინოს სამეცნიერო კვლევითი შედეგების წერითი და ზეპირი პრეზენტაცია.

დარგში მიღებული ცოდნის მეცნიერულ-არგუმენტირებულად და გარკვევით წარმოჩენა

ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა.

**სწავლის უნარი:**

თეოლოგიის დარგში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი სამეცნიერო იდეების, ტენდენციების განვითარებისათვის ახალი ცოდნის დაგროვების საჭიროების გააზრება და დაგეგმვა.

სწავლისა და სამეცნიერო საქმიანობისას სათანადო პროცესის განვითარების განჭვრეტა.

**ღირებულებები:**



რელიგიური მსოფლმხედველობების შესწავლისა და დაცვის სფეროში უახლეს აკადემიურ მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების და მიდგომების განვითარების ხელშეწყობა;

დოქტორი დაუფლებულია სრულ ცოდნას თეოლოგიის დარგში, ტოლერანტობას განსხვავებული კონფესიებისადმი, რის გამოც ის მომზადებულია საზოგადოებაში რელიგიის როლის განსაზღვრისათვის.

პლაგიატის, მეცნიერული წყროების ხელყოფის, მკვლევართა პიროვნების შეურაცხყოფის გამოვლენისადმი უკიდურესად კრიტიკული დამოკიდებულება თეოლოგიური მეცნიერების ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიება და საამისოდ ინოვაციური მეთოდების შემუშავება;

რელიგიური მსოფლმხედველობის დაცვის სფეროში პროფესიული ღირებულებების პოპულარიზაცია.

**შეფასების წესი**

**შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.**

**სასწავლო კომპონენტის შეფასება:**

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:**

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;



<p>ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;</p> <p>ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.</p>
<p><b>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)</b></p>
<p>ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge</p>

<b>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა</b>	
<b>სოციალური მეცნიერებები</b>	
<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</b>	
	180
<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>	
	სოციალური მეცნიერებების დოქტორი
<b>სწავლების ენა</b>	
	ქართული
<b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b>	
	<p>სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის მიზანია სოციალური სფეროს დამოუკიდებელი მკვლევარის ჩამოყალიბება, რომელიც შეძლებს, როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი კვლევების ჩატარებას პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით. პროგრამა იმ სოციალური მიმდინარეობების, კონცეფციების, სტრატეგიების შესაწავლაზეა ორიენტირებული, რომელთა გარეშე დღევანდელ ვითარებაში წარმოუდგენელია სოციალური პრობლემატიკის თემატიზირება და გადაწყვეტა.</p> <p>სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს სოციალური განათლების კონკრეტულ და სიღრმისეულ გაფართოებას, როგორც თეორიული, ისე ემპირიული კვლევების მიმართულებით; სოციალურ მეცნიერებათა სფეროში ინოვაციური კვლევების წახალისებას და მათ აკადემიურ ინსტიტუციონალიზაციას შესაბამისი საკვალიფიკაციო ხარისხის მინიჭებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა თანამედროვე სოციალური პარადიგმების მეცნიერულ კვლევას, თანამედროვე პოსტულატების სისტემურ და კრიტიკულ ანალიზს. პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე სოციალურ-მეცნიერული სტრატეგიების კონკრეტიზაციას ექსისტენცის ინტენციულობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციოკულტურულ და საგანმანათლებლო მოდულში. კერძოდ, სწავლებას და კვლევას ინტერდისციპლინური მიმართულებით.</p>
<b>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</b>	
<b>ცოდნა და გაცნობიერება:</b>	
	<ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს კვალიფიციური, მეცნიერული, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა სოციალურ მეცნიერებათა სფეროში;</li> <li>• იცის სოციალური მეცნიერებების განვითარების ძირითადი ეტაპები, მის ევოლუციაში მომხდარი ცვლილებები და შეუძლია არსებული ცოდნის ხელახლა გააზრება და ნაწილობრივი გადაფასებაც;</li> <li>• აქვს ღრმა და კვალიფიციური ცოდნა თანამედროვე ძირითად სოციალურ თეორიებსა და კვლევის მეთოდებში;</li> <li>• შეუძლია არა მხოლოდ მიღებული ცოდნის გაზიარება, არამედ</li> </ul>



გაცნობიერებული აქვს მისი ოპერაციული და ინოვაციური გამოყენების მნიშვნელობა;

- სიღრმისეულად ფლობს მეცნიერული შედეგების მეთოდოლოგიას;
- იცის გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში სოციალური მეცნიერებების შესაბამის მიმართულებებში (პოლიტიკის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, კულტურული მემკვიდრეობის) არსებული თანამედროვე ტენდენციები, მიმართულებები და განვითარების კანონზომიერებები.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

- ფლობს მაღალპროფესიული სტანდარტებით ემპირიული სოციალური კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევებს (ანუ შეუძლია თანამედროვე ემპირიული კვლევის მეთოდების ადეკვატური გამოყენება საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხების შესწავლისთვის);
- შეუძლია ამა თუ იმ მეთოდის ინოვაციური გამოყენება და პრობლემების გადაჭრის ახალი მიდგომების ჩამოყალიბება;
- აქვს უნარი განსაზღვროს სხვადასხვა სოციალური პრობლემის კვლევის გზები და ჩამოაყალიბოს ღრმა და ეფექტური რეკომენდაციები ამ პრობლემების გადასაჭრელად;
- შეუძლია დასახოს კომპლექსური ღონისძიებები ცალკეული და მთლიანი პრობლემის გადასაწყვეტად და შეიმუშაოს ეფექტიანი რეკომენდაციები დასმული პრობლემის გადაჭრის ყველაზე ოპტიმალური გზების შესახებ;
- აქვს უნარი, ჩაერთოს სხვადასხვა მეთოდით წარმართულ კვლევით პროექტებში, როგორც ძირითადი მკვლევარი, ან თავად გაუძღვეს და ზედამხედველობა გაუწიოს კვლევითი პროექტის განხორციელებას;
- ხარისხიანად და მაღალ დონეზე აწარმოოს კვლევა არსებული ეთიკური და პროფესიული სტანდარტების სრული დაცვით;
- შეუძლია მაღალ პროფესიულ დონეზე წარმოადგინოს დარგის პრობლემის ღრმა და მრავალმხრივი ანალიზი;
- აქვს კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების ახლებურად შემუშავების უნარი, რომელიც მიმართულია ახალი ცოდნის შექმნაზე;
- შეუძლია მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილებები თეორიული კონცეფციებისა და მიდგომების გამოყენებით;
- ირჩევს და ეფექტურად იყენებს კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიას;
- შეუძლია ინოვაციური კვლევების დამოუკიდებლად შემუშავება და



კვლევის შედეგების რეალიზაცია რეფერირებად პუბლიკაციებში.

**დასკვნის უნარი:**

- შეუძლია სოციალური კვლევის შედეგების მაღალპროფესიულ დონეზე და დამოუკიდებლად დამუშავებისა და გაანალიზების საფუძველზე გამოიტანოს დასკვნები შესასწავლი პრობლემის არსისა და მისი გადაჭრის გზების შესახებ;
- შეუძლია მაღალპროფესიულ დონეზე არსებული პრობლემის გადაჭრისათვის ახლებური გზების ძიება და მეცნიერულად ღრმად დასაბუთებული დასკვნების გაკეთება;
- შესაბამისი დარგის რთულ პრობლემაზე პროფესიული და ყოველმხრივი ანალიზის შედეგად იძლევა ფასეულ რეკომენდაციებს, დასკვნებსა და ჰიპოთეზებს.

**კომუნიკაციის უნარი:**

- შეუძლია კომუნიკაცია დაამყაროს ყველა იმ სტრუქტურასთან, მკვლევართან თუ ჯგუფთან, რომლებიც მისი კვლევის ინტერესებში შედის;
- შეუძლია პროფესიული კომუნიკაცია ყველა იმ სოციალურ ერთეულთან, რომელიც მისი კვლევის ობიექტს შეადგენს;
- განვითარებული აქვს სოციალური უნარები, კერძოდ, შეუძლია ჯგუფური მუშაობა, მათ შორის, ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობა და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.
- თავისუფლად იყენებს ენას სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ მშობლიურ და უცხო ენებზე;
- საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე, კონფერენციებსა და სემინარებზე გამოსვლისას ფლობს ორატორული ხელოვნების უნარს, ასევე შეუძლია თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;
- აქვს მეცნიერული წერისა და სამეცნიერო კომუნიკაციის მაღალი უნარი.

**სწავლის უნარი:**

- აქვს სოციალურ მეცნიერებათა (სოციოლოგია, ფსიქოლოგია, პოლიტიკის მეცნიერებები) უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების/პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, სწავლებისა და კვლევის





პროცესში;

- შეუძლია, რომ მის მიერ ათვისებული ცოდნა და გამოცდილება გადასცეს სხვებს, ანუ აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში, როგორც პროფესორის ასისტენტი ბაკალავრიატის ყველა დონის კურსების საფეხურზე;
- შეუძლია საკუთარი ახალი მეცნიერული იდეების გენერირება.

**ღირებულებები:**

სოციალური ცოდნა იკვლევს ახალი, თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების გზებსა და საშუალებებს, შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- მაღალი ზნეობრივი პასუხისმგებლობით პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის არსებული ნორმების დაცვა;
- კვლევის ობიექტის (ადამიანები, ჯგუფები) უფლებების, პირველ რიგში, მათი ანონიმურობის დაცვა;
- ქსენოფობიური და ეთნოცენტრისტული დამოკიდებულებების უარყოფა;
- განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა;
- ახალ ღირებულებათა დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება;
- პლაგიატის უარყოფა;
- თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულება, მათ ქართულ რეალობაში დამკვიდრების სურვილი და მზაობა;

სასწავლო და კვლევით გარემოში ისეთი პიროვნული და პროფესიული ფასეულობების გამომუშავება, რომელიც ეროვნული და საერთაშორისო საზოგადოებისათვის მისაღებ მაღალზნეობრივ სტანდარტებს შეესაბამება.

**შეფასების წესი**

**შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.**

**სასწავლო კომპონენტის შეფასება:**

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:



- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:**

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

**საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)**

ეკატერინე შაკიაშვილი, მობ. 577375439, e.shakiashvili@gtu.ge

